სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს ოდესის "ჩერნომორეცისა" და თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩის ტექნიკური მონაცემები:

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

"ჩერნომორეცი": ჟეკიუ, ჟარკოვი (შარიი), ლეშჩუკი, ბულანკინი, პლოსკინა, ჩილიბი, გოლოვინი, უსტიმჩიკი, შევჩენკო (შალომაი), ბელანოვი, იშჩაკი.

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე (ჟვანია), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

მინდვრიდან გააძევეს ოდესელი ჩილიბი და თბილისელი კაკილაშვილი.

დუბლიორები - 1:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ცავამ და ჩელებაძემ.

ამ მატჩის წინ ოდესელებმა ზედიზედ 5 ტური მარცხიანად წარმართეს, 4 მატჩი წააგეს და მხოლოდ ერთი დაამთავრეს ფრედ. 1 ქულა 10 შესაძლებლიდან. ამიტომ იყო, რომ მათ ძალების არნახული დაძაბვით ითამაშეს ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ.

ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა უსტიმჩიკმა ბელანოვის გადაცემის შემდეგ. ტაიმის დასასრულს მასპინძლები რამდენიმე აშკარა გოლს გადაურჩნენ. შესვენების შემდეგ, 71-ე წუთზე, ჩივაძე-შენგელიას კომბინაცია საპასუხო გოლით დამთავრდა - 1:1.

"ლელო", 21 მაისი 1981 წ.